

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №8

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის

შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №8

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი მაღალტექნოლოგიური 150 საწოლიანი, მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. თბილისში ორთაჭალაში, გენერალური გეგმის შესაბამისად;

გადასაცემი ობიექტები:

- სს "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი";
- შპს "ქ. თბილისის შალვა ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლი №4;
- შპს "თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი".

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საბანკო გარანტიის წარმოდგენა მაქსიმალური თანხით;
- საბანკო გარანტიით ერთი და იგივე თანხის წარმოდგენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროექტის დასრულების ვადას.

შერჩევაში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი მინიმუმ 2 250 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია, აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 21 ივნისის 17 სთ.-მდე.

წინადადებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801; 21 ივნისის, 17 სთ. და 30 წუთზე.

შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №8 - კონკურსის შედეგები:

ახალი საავადმყოფო ორთაჭალაში

21 ივნისის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში "ჰოსპიტალური სექტორის განვითარების №8 პროექტის"

კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა – 150 საწოლიან, მაღალტექნოლოგიურ და მრავალპროფილურ ჰოსპიტალს ორთაჭალაში კომპანია შპს "უნიმშენი" ააშენებს.

გენერალური გეგმის შესაბამისად, ახალი საავადმყოფოს აშენების სანაცვლოდ გამარჯვებულ კომპანიას სამი ობიექტი – სს "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი", შპს "თბილისის შალვა ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლი M4" და შპს "თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი" გადაეცემა.

"უნიმშენის" კონკურენტები იყვნენ "ავერსი", "ჯი-პი-სი" და "ნიუ ჰოსპიტალი". გამარჯვებულმა კომპანიამ ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტიის სახით ყველაზე მეტი თანხა – 16 000 000 აშშ დოლარი წარმოადგინა.